თასის დამღით

თბილისი. ვ.ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 4 ივლისი. “დინამო” (თბილისი) – “დინამო” (კიევი) 0:1 (0:1).

თბილისი: გაბელია, კოსტავა, სულაქველიძე, ხინჩაგაშვილი, თავაძე, დარასელია, ჭილაია, მინაშვილი, შენგელია, კოპალეიშვილი (ჟვანია), ცაავა (ჩელებაძე).

კიევი: რომენსკი, კაპლუნი, ბალტაჩა, ჟურავლიოვი, დემიანენკო, ლოზინსკი, ბურიაკი, ხაპსალისი, კოლოტოვი (ბოიკო), ევტუშენკო, ბესონოვი.

მსაჯი: ო. ჩინენოვი (მოსკოვი).

გაფრთხილებული არიან: კოლოტოვი, სულაქველიძე, მინაშვილი.

დუბლიორები – 1:1. თბილისელთაგან ბურთი გაიტანა ჩელებაძემ (პენალტით).

საკავშირო პირველობის გათამაშების კალენდრის წყალობით მოხდა ისე, რომ თბილისის “დინამო” ბოლოსწინა ტურში მასპინძლობდა სსრ კავშირის თასის ფინალისტს – “შახტიორს”, რომლის პირისპირ მას ამ საპატიო პრიზისათვის გადამწყვეტ ბრძოლაში მოუწევს დადგომა 9 აგვისტოს. გუშინდელი მეტოქის სახით კი საქმე ჰქონდა იმავე თასის ნახევარფინალისტთან, ერთ თვის წინ რომ აქვე, საკუთარ მინდორზე დამაჯერებლად სძლია და გზა გაიკაფა ფინალისაკენ. ამდენად, კიევის დინამოელები რევანშის დიდი წყურვილით ესტუმრნენ თბილისს. ერთი შეხედვით ორივე მატჩს – “შახტიორთან” და კიევის დინამოელებთან თავისებური “თასის დამღა” ჰქონდა, მაგრამ საფეხბურთო მატჩები არაფრით არ წააგავს ერთი–მეორეს და ეს ჭეშმარიტება კიდევ ერთხელ დაადასტურა გუშინდელმა ორთაბრძოლამ თბილისის “დინამოს” სტადიონზე.

არ ჰგავდა თუნდაც იმიტომ, რომ ამჯერად მეტოქეთა რიგები თვალსაჩინოდ განსხვავდებოდა წინა შეხვედრისაგან, რასაც საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს საერთოდ. ავიღოთ სტუმრების შემადგენლობა. მათ შორის ვერ ვიხილეთ ის ფეხბურთლები, რომლებმაც შორს გაუთქვეს სახელი ამ კოლექტივს, კერძოდ, მინდორზე არ გამოსულან კონკოვი, ვერემეევი და რაც მთავარია, გუნდის წლევანდელი საუკეთესო ბომბარდირი ბლოხინი. თბილისელებს კარგად ახსოვთ სათასო მატჩში მისი მოულოდნელი რეიდი მეტოქის ზურგში, რასაც ასევე მოულოდნელი, მაგრამ ოსტატური ბურთის გადაცემა მოჰყვა, რომელიც ახალგაზრდა ევტუშენკომ თბილისელთა ბადეში გაგზავნა. ეს გოლი შემთხვევით არ გაგვიხსენებია, რადგან კიეველთა ახალგაზრდა ფორვარდმა გუშინაც გაიტანა მასპინძელთა კარში თავისი “საფირმო” გოლი 27–ე წუთზე, რამაც სტუმრებს საბოლოოდ გამარჯვება მოუტანა.

როგორც ზემოთ დავინახეთ, ამ დღეს სარბიელი უმთავრესად ახალგაზრდობას ჰქონდა დათმობილი, როგორც კიეველებს, ასევე მასპინძლებსაც საგრძნობლად ჰყავდათ გუნდში. მაგრამ უკრაინელ ფეხბურთელთაგან განსხვავებით, სადაც ახალბედებს შესანიშნავად უწევდა ხელმძღვანელობას ნახევარდაცვის მთავარი “ღერძი” ბურიაკის სახით, რომლის თითქმის არც ერთ ჩაწოდებული პასი არ აცდენია “ადრესატს”, თბილისელებს ამ რგოლში აშკარად აკლდათ მსგავსი მოთამაშე. ჩვენ გვახსოვს მასპინძელთა შესანიშნავი ტანდემი ნახევარდაცვაში (ყიფიანი–ჭილაია) “შახტიორთან” მატჩში. ამჯერად ახალგაზრდა ჭილაიას ასეთი მხარდაჭერა, უფრო სწორედ, შევსება, აშკარად აკლდა და იგი ეულად მოქმედებდა ამ უმთავრეს უბანზე, რომელსაც მხარს ვერ უბამდნენ ახალბედა პარტნიორები. ამიტომაც გუშინდელ

თამაშში მასპინძელთა თავდასხმა პასის საგრძნობ ნაკლებობას განიცდიდა და ის მოულოდნელი გასვლები წინა ხაზზე ყოველგვარ ეფექტს მოკლებული იყო.

და ბოლოს, საკავშირო ჩემპიონატის გათამაშების შემჭიდროებული კალენდარი (“დინამომ” ხუთ დღეში 2 შეხვედრა გამართა) იმის საფუძველს იძლევა, რომ მისი თამაში დიფერენცირებულად, ცალკეული ტურის მიხედვით კი არა, არამედ ერთგვარ მთლიანობაში განვიხილოთ. ამ მხრივ “დინამო” აშკარად დიდი იმედების გუნდია, რადგან გუნდში არის ნიჭიერი ახალგაზრდობა, ამის დასტური იყო ბრწყინვალე გამარჯვება “შახტიორთან”, რომელსაც უკვე ძალუძს ურთულესი ამოცანების გადაწყვეტა. ეს კი მომავლის კარგი გარანტიაა და თუ დღეს გუნდმა წაიბორძიკა, ეს გამოუცდელობის ბრალია, რომელიც ხვალ უსათუოდ მოვა.

უ. ჭიჭინაძე.
“ლელო”, 5 ივლისი, 1980 წ.